ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 04

11.02.2026 წ.

დ. ლენტეხი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო , სოციალურ საკითხთა

სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიების გაერთიანებული სხდომის

ო ქ მ ი N 04

დ. ლენტეხი

11. 02. 2026.წ

მიმდინარე წლის 11 თებერვალს დღის 12 სთ-ზე ჩატარდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალურ საკითხთა, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიების სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარ ლიპარტელიანი, სოც საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი. კომისიის წევრები: ხუტა მუკბანიანი, ამირან ქურასბედიანი, ნინო ბენდელიანი, ზურაბ ონიანი, მალხაზი ბენდელიანი , დალი ტვილდიანი,

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ქურასბედიანი, ა(ა)ი პირების ხელმძღვანელები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი პირების---თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრის, ტურიზმის განვითარების ცენტრი „ლაილა"ს 2026 წლის გეგმა--პროგრამების პროექტების განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი პირის ტურიზმის განვითარების ცენტრის „ლაილას" წარმომადგენელმა ბესო ჩანქსელიანმა სხდომას გააცნო 2026 წლის გეგმა-პროგრამა, რომლის სუბსიდია განსაზღვრულია 228,3 ათ ლარით. წინა წელთან შედარებით გაზრდილია 20.00 ათ. ლარით. რომელიც გათვალისწინებულია ხელფასების 10 % იანი მატებისთვის, კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად და მარშუტების-ბილიკების მარკირების განახლებისთვის.

პროგრამა ითვალისწინებს ტურიზმის მიმართულებით ელექტრონული ბაზის შექმნას, სადაც მოხდება ტურიზმის სფეროში მუშაობისათვის გამოსადეგი სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეტანა, შეგროვება და სისტემატიზაცია. ტურისტული მარშუტების დაგეგმვა-შესწავლას, ინფორმაციების შეგროვებას ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის, სხვადასხვა პროექტების მომზადებას, ბიზნეს სექტორთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრობლობა, ტურისტული მარშუტების დაგეგმვა; ასევე დაგეგმილია სამთო-სალაშქრო ტურები, სხვადასხვა მოლაშქრე ჯგუფების მოწვევა, მცირე პრეზენტაციების მოწვევა სხვადასხვა რეგიონებში.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა ხუტა მუკბანიანმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, რომ დოკუმენტი რომლითაც თქვენ ხელმძღვანელობთ მუშაობის პერიოდში, ვის მიერ არის დამტკიცებული, აგრეთვე ტურისტული მარშუტები თუ გაქვთ მარკირებული ტერიტორიების მიხედვით, კერძოდ, მაინტერესებს ჩოლურის თემის ტერიტორიების მარშუტების მარკირების საქმე.

ბაქარ ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ სერვის ცენტრის ძირითადი საქმიანობა შეთანხმებულია მუნიციპალიტეტის მერიასთან და ტურისტულ სააგენტოებთან.

რაც შეეხება ჩოლურის თემის ტერიტორიაზე ტურისტული მარშუტების მარკირებას, მთა გოლდაშიდან, საფეხმავლო გზა ჩოლურის მთებისკენ, მუწდიდან ლასილის უღელტეხილამდე გზა მარკირებულია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ლაგის" დახმარებით რცხმელურის თემის ტერიტორიაზე ნატბეურას ჩანჩქერამდე მისასვლელი საფეხმავლო გზა გაწმენდილი და მარკირებულია. დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია ვიზიტორებისთვის ჩანჩქერის დათვალიერების შეთავაზება. მიმდინარეობს ტურისტულად საჭირო ადგილების შესწავლა და შემდგომ მარშუტების მარკირება.

მოისმინეს : მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრის დირექტორმა რაია ქურასბედიანმა განსახილველად წარმოადგინა საკონსულტაციო ცენტრის 2026 წლის გეგმა-პროგრამის პროექტი.

გეგმა-პროგრამაში, მიმდინარე წლის ბიუჯეტით სუბსიდია დამტკიცებულია 493.3 ათ. ლარით. გასული წლის სუბსიდიასთან შედარებით გაზრდილია 44.8 ათ. ლარით. ასევე გაზრდილია შრომის ანაზღაურების მუხლი. ძირითადად ცენტრი ემსახურება მუნიციპალიტეტში შემავალ თემების მოსახლეობას და ადგილობრივი თვითმართველობის

ორგანოებს შორის კომუნიკაციის გამარტივებას, აქტიური თანამშრომლობას, თემებში სახალხო კრებების ორგანიზებას, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიმდინარე და მომავალში განსახორციელებელი პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, მათი ინტერესების გათვალისწინებას.

საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის წევრმა ირაკლი ქურასბედიანმა კითხვით მიმართა მომხსენებელს: ტერიტორიულ ერთეულებში თქვენს წარმომადგენლებს შესწავლილი აქვთ თუ არა ადგილზე სოციალურად დაუცველი თითოეული ოჯახი და მათი ეკონომიური მდგომარეობა. თქვენი მხრიდან ვის მიმართეთ მათი მდგომარეობა რომ გაეთვალისწინებინათ და ამ ოჯახებისთვის დახმარება გაეწიათ?

საკონსულტაციო ცენტრის დირექტორმა უპასუხა, რომ ჩვენი სამსახურის მხრიდან შესწავლილი იქნა სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობა, და ზოგიერთ პიროვნებებს, საკონსულტაციო ცენტრში გაუფორმდათ ხელშეკრულებები. სამწუხაროდ აღნიშნული კატეგორიის დასაქმებულთა რაოდენობა არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან ასეთი ოჯახები საკმაოდ ბევრია, ჩვენი საკონსულტაციო ცენტრი მოსახლეობას აწვდის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წლის განმავლობაში დამტკიცებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობაზე; ვურჩევთ ხოლმე მოსახლეობას მიიღონ მონაწილეობა ამ სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერებში - დასაქმების მიზნით.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი გეგმა-პროგრამების პროექტები, მიეცათ გარკვეული ხასიათის შენიშვნები და სერვის ცენტრების დირექტორებს მიუთითეს გეგმ- პროგრამების მიმდინარე განხილვის დროს გასათვალისწინებლად.

სხდომა დასრულდა დღის 13 სთ-ზე.

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე: / ე. ლიპარტელიან

სოც. საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე: ც.ლიპარტელიანი

სამანდატო საპროცედურო საკითხთა და

ეთიკის და კომისიის თავმჯდომარე: /თ. გასვიანი/